საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

MES 7 18 00484210

27/04/2018

საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარეს,
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,
თქვენი წერილის (#01-01/527; 05.04.2018) პასუხად, რომელიც შეეხებოდა საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში წარმომადგენლობის სახელით, წევრის სტატუსით კანდიდატის ნომინირებას, წარმოგიდგენთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე (ოქმი # 24/15; 13.04.2018) შერჩეულ და დამტკიცებულ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას კანდიდატურას.
ასევე წარმოგიდგენთ კანდიდატის პროფესიული გამოცდილების აღწერილობას (CV), მისი შერჩევის ამსახველ დოკუმენტაციას, წევრის პასუხისმგებლობას და სამუშაო გეგმას.
პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ - თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი / კანცლერი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)
ზურაბ ორჯონიკიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 415.10
01 05 2018 წ.
12 ფურცელი

0186, საქართველო, თბილისი, კოტე ფშაველის გამზირი 33; 33, Vazha-Pshavela Ave. 0186 Tbilisi, Georgia. ტელ / Tel: (+995 32) 254-24-24; 254-24-50.
ელ.ფოსტა / E-mail: iad@tsmu.edu ; iad.tsmu@gmail.com ; ვებ-გვერდი / URL: www.tsmu.edu

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი: ზურაბ ვადაჭკორია

დაბადების თარიღი: 16 იანვარი, 1958

ეროვნება: ქართველი

თანამდებობა –თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი; პროფესორი, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის მიმართულებისა და ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ყბა–სახის ქირურგი

სამეცნიერო ხარისხი - MD., Ph.D., DSc. (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი)

სამეცნიერო წოდება – პროფესორი

განათლება:

ინსტიტუტი	მიღებული ხარისხი, დიპლომი:
1974-1979 –თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი	MD დიპლომი
1979-1982 - მოსკოვის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ბავშვთა ყბა–სახის ქირურგიის კლინიკა	ასპირანტი
1983 – მოსკოვის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ბავშვთა ყბა–სახის ქირურგიის კლინიკა (დისერტაცია შესრულებულია მოსკოვში პროფესორ ა. კოლესოვის ხელმძღვანელობით)	მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
1997 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტი, მოსკოვი, ეკატერინბურგი (დისერტაცია შესრულებულია მოსკოვში, ეკატერინბურგში და თბილისში – პროფესორების ვ.ვისარიონოვის და ტ.გაბისონიას სამეცნიერო	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

კონსულტაციებით)	
1991 წ. – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მიენიჭა სამეცნიერო პედაგოგიური წოდება – დოცენტი
1997 წ. –– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მიენიჭა სამეცნიერო პედაგოგიური წოდება – პროფესორი

უწყვეტი განათლება და ტრეინინგები:

Institution	კურსები / ტრეინინგები
1979 – 1982, 1983 –მოსკოვის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ბავშვთა ყბა–სახის ქირურგიის კლინიკა, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია	სამეცნიერო–კვლევა, პროფესიული დახელოვნება
1985, 1987, 1988, 1999 –სტომატოლოგიის ცენტრალური სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა ყბა–სახის ქირურგიის განყოფილება, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია	სამეცნიერო–კვლევა, პროფესიული დახელოვნება
1991 – ლაზერული მედიცინის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი, მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია	სამეცნიერო–კვლევა, პროფესიული დახელოვნება
1994, 1995, 1996 – სახისა და ყბების განვითარების თანდაყოლილი მანკების მქონე ბავშვთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის რუსეთის ცენტრი,	სამეცნიერო–კვლევა, პროფესიული დახელოვნება
1997 – მისურის შტატის ქენზას–სითის უნივერსიტეტის ბავშვთა ჰოსპიტალის ბავშვთა სტომატოლოგიისა და ბავშვთა ყბა–სახის ქირურგიის დეპარტამენტი (ქენზას–სითი, აშშ)	პროფესიული დახელოვნება
1998, 2001 – დოქტორ რ. შალტერის კერძო სტომატოლოგიური კლინიკა (მიუნჰენი, ბავარია, გერმანია)	პროფესიული დახელოვნება
2005 – დოქტორი ი.აიზენჰვარის კერძო სტომატოლოგიური კლინიკა (შმითმიულერი, ბავარია, გერმანია)	პროფესიული დახელოვნება
2009 – ფერარას საუნივერსიტეტო ბავშვთა ჰოსპიტლის ყბა–სახის ქირურგიის დეპარტამენტი (ფერარა, იტალია)	პროფესიული დახელოვნება

პროფესიული გამოცდილება:

თარიღი	დაწესებულება	თანამდებობა
2009–დან	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	რექტორი

თარიღი	დაწესებულება	თანამდებობა
1997- დან დღემდე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროფესორი, ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის მიმართულებისა და ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
2001-2007	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
1997 – 2004	საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია	პირველი პრეზიდენტი (ამ პერიოდში საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაცია გაერთიანდა მსოფლიოსა და ევროპის სტომატოლოგთა ფედერაციასა და ასოციაციაში)
1997-2004	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში (ამ პერიოდში უნივერსიტეტმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა 27 უნივერსიტეტთან, მრავალ კლინიკურ დაწესებულებასთან და ევროპის, აშშ–ის, აფრიკის და პოსტ–საბჭოთა სივრცის საგანმანათლებლო ცენტრთან);
1997-2000	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
1991-1997	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
1994–დან დღემდე	სახისა და ყბების განვითარების თანდაყოლილი მანკების მქონე ბავშვთა დისპანსერიზაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ნაციონალური ცენტრი	ხელმძღვანელი (საზოგადოებრივ საწყისებზე)
1994–დან დღემდე	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სადისერტაციო საბჭოს წევრი, სპეციალობა–სტომატოლოგია

თარიღი	დაწესებულება	თანამდებობა
1982 - 1997	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი; განყოფილების გამგე
1985-1989	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში (საზოგადოებრივ საწყისებზე);
1979 - 1982	მოსკოვის სამედიცინო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ბავშვთა ყბა–სახის ქირურგიის კლინიკა	ასპირანტი
1983 – 1987	მე–5 ბავშვთა კლინიკური ჰოსპიტალი, თბილისი	საექიმო მოღვაწეობა, ასისტენტ-პროფესორი, დოცენტი
1987 – დან დღემდე	პროფ. გ.ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკის ყბა–სახის ქირურგიის განყოფილება; სახისა და ყბების განვითარების თანდაყოლილი მანკების მქონე ბავშვთა დისპანსერიზაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ნაციონალური ცენტრი, თბილისი	საექიმო მოღვაწეობა, პროფესორი, ცენტრის დირექტორი

პროფესიული საზოგადოებების წევრობა:

- FDI- მსოფლიოს სტომატოლოგთა ფედერაციის წევრი
- ევროპის სტომატოლოგთა ასოციაციის წევრი
- AMEE -ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია, MEDINE-2 სამუშაო ჯგუფის წევრი,
- აბრეშუმის გზის ევროაზიულ უნივერსიტეტთა კონსორციუმის (ESRUC) აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
- ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი;
- ტერნოპოლის (უკრაინა) სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი;
- საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს (CCM) წევრი

- **გუზის მშვიდობის საერთაშორისო პრიზის 2015 წლის laureate მედიცინის, კერძოდ, ყბა-სახის ქირურგიაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისა და სამედიცინო განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის**

- უნივერსიტეტთა პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციის (IAUP) წევრი;
- ოქსფორდის აკადემიური კავშირის საპატიო პროფესორი (დიდი ბრიტანეთი);
- ოქსფორდის აკადემიური კავშირის ნამდვილი წევრი (დიდი ბრიტანეთი).

ენების ცოდნა:
ინგლისური, რუსული, ქართული (მშობლიური ენა)

სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა: 100–ზე მეტი სამეცნიერო შრომის, ერთი მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივის წევრი.
მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ჩატარდა 70–ზე მეტი საერთაშორისო კონგრესი, კონფერენცია, „ვორქ–შოფი"; კვლევის ძირითადი სფეროები: ბავშვთა თანდაყოლილი პათოლოგიები და ყბა-სახის ანომალიები, ჰემანგიომები და სახის სიმსივნის-მსგავსი პათოლოგიები, ანესთეზიის გავლენა ყბა-სახის ქირურგიულ პროცედურებზე, სამედიცინო განათლების მეთოდოლოგია და ა. შ.

ოჯახის შემადგენლობა:

მეუღლე – მარინე მამალაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, სტომატოლოგიის კლინიკისა და სასწავლო–კვლევითი ცენტრის „უნიდენტი" დირექტორი სამკურნალო და სასწავლო–კვლევითი მუშაობის დარგში;

ქალიშვილი – დეა ვადაჭკორია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სტომატოლოგიის კლინიკისა და სასწავლო–კვლევითი ცენტრის „უნიდენტი" ექიმი–სტომატოლოგი

ვაჟი – ოთარ ვადაჭკორია, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის (ავსტრია) სტომატოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მოღვაწეობს ექიმ–სტომატოლოგად გერმანიაში.

საკონტაქტო მისამართი:
თბილისი 0177, ვაჟა–ფშაველას გამზირი, 33
ტელ. (995 32) 542 444; ფაქსი: (995 32) 542 441;
ელ.ფოსტა: vadachkoria@tsmu.edu
www.tsmu.edu

ხელმოწერა:

2017, 21 დეკემბერი

წევრის პასუხისმგებლობა და სამუშაო გეგმა

- აკადემიური, საგანმანათლებლო/კვლევითი ინსტიტუტების წევრი უნდა დაესწროს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომებს და პასუხისმგებლობით მიიღოს მონაწილეობა საბჭოს შეხვედრებში.
- როდესაც წევრი ვერ ახერხებს შეხვედრაზე დასწრებას, მან უნდა უზრუნველყოს ალტერნატიული პირის დასწრება შეხვედრაზე.
- წარმოადგინოს აკადემიური სექტორის წინადადებები აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და მართვის პროექტების განხორციელების საკითხზე, მათ შორის აკადემიური სექტორის ჩართულობაზე აღნიშნული პროექტების განხორციელებაში.
- პერიოდულად მოახდინოს საბჭოს მუშაობის ანგარიშგება წევრის წარმომადგენლობის წინაშე (აკადემიური საბჭო) და გადასცეს ccm-ს აკადემიური საბჭოს რეკომენდაციები.
- საბჭოს სამდივნოსთან შეთანხმებით მოახდინოს წარმომადგენლობის ინფორმირება სხვა კომუნიკაციის საშუალებებით (თსსუ-ის ვებ-გვერდი, გაზეთი, ტელე-რადიო გადაცემები).

ამონაწერი

სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

სხდომის ოქმიდან N24/15

თბილისი 2018 წლის 13 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ ვადაჭკორია, ნოდარ ლომიძე, ნიკოლოზ გონგაძე, რემა ღვამიჩავა, მარინა მამალაძე, მანანა ივერიელი, ნინო ჭიპაშვილი, დავით ჭინჭარაძე, ალიოშა ბაკურიძე, თამაზ მურთაზაშვილი, ნინო ვეფხვაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, ბიძინა ზურაშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ბორის კორსანტია, ბელა კიკალიშვილი.

სხდომაზე მოწვეული პირები: ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თინდაძე, ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი, ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი ირაკლი კოხრეიძე, კანცლერი, პროფესორი ზურაბ ირჯონიკიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატი, პროფესორი ირინე კვაჭაძე, კანცლერის აპარატის უფროსი ვასილ მიქაშავიძე, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კანთელაძე, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი სამსონ მღებრიშვილი, ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დალი ბერაშვილი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი ირაკლი მჭედლიშვილი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხულია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი მედეა ჯღარკავა, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი რუსუდან რუხაძე, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან ბენაშვილი, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო თევზაძე, სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სალომე ვორონოვა, ბიბლიოთეკის

დირექტორი თამარ ხახუტაშვილი, რექტორის და კანცლერის მრჩეველი სტრატეგიული მიმართულებების ფორმირებისა და ფინანსური პროექტების ანალიზის საკითხებში, იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფინანსური დირექტორი ზურაბ ანთელიძე, დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი ზაზა ბოხუა, იურიდიული სამსახურის უფროსი მზია დუნდუა, ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ნინა მარიამიძე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ლიზა ზაზაძე, საქმისწარმოების სამსახურის უფროსი ნინო ჩიხრაძე, საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სამსახურის უფროსი გოგი დონაძე, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ფინანსური დირექტორი მამუკა წაქაძე, თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის გენერალური დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლია ძიძიგური, ფინანსური დირექტორი თამარ ჩოხელი, თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ლია სანოძე, თსსუ-ის #1 სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი დავით ხვედელიანი, თსსუ-ის #2 სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი ნათია მელქაძე, თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ნანა გორგასლიძე, თსსუ-ის ვლ. ბახუტაშვილის სახელობის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დავით ხანდრატიანი.

თსსუ-ის კლინიკის პროფესორობის კანდიდატები: ნინო თოთიაძე, ლაშა მაჭარაშვილი და ნანა ცინცაძე.

შპს ნათელა პატარკაციშვილის სახელობის მრავალპროფილური კლინიკის „დედაშვილობა“ დირექტორი _ კახა ტატუნაშვილი.

თსსუ-ის საარჩევნო კომისიის წევრები: ნელი ყურაშვილი, მარიკა ცქვიტინიძე, ვასილ მიქაშავიძე, ალექსანდრე ბუაჩიძე, მირანდა ბუცხრიკიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

10. საქართველოში აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიან საკოორდინაციო საბჭოში აკადემიური/საგანმანათლებლო/კვლევითი სექტორის წარმომადგენლის ნომინირების შესახებ (მომხს. - ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე).

სხდომის მიმდინარეობა:

10. საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს (CCM) წევრად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლის არჩევის შესახებ სხდომას მოახსენა ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიზანი და ძირითადი ფუნქციებია: უზრუნველყოს საქართველოში სახელმწიფოს, გლობალური ფონდის და სხვა დონორების დახმარებით მიმდინარე აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კოორდინირება სახელმწიფო დონეზე. გლობალურ ფონდში წარსადგენი კონცეფციების (პროექტების) შემუშავებისა და წარდგენის კოორდინირება; გლობალური ფონდის გრანტებისთვის ძირითად მიმღებთა შერჩევა/დასახელება; გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ყველა პროგრამის ზედამხედველობა; ინტერესთა კონფლიქტის მართვა და შემცირება, განსაკუთრებით, კონცეფციების წარდგენის, ძირითადი მიმღების დასახელების და გრანტების ზედამხედველობის საკითხებში; მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N220-ე დადგენილებით მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება.

ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის: მთავრობა, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები; სამთავრობო სექტორის მუდმივი ორგანიზაციული წევრები; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი; ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი; ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი; სხვა სამთავრობო წარმომადგენლები, მათ შორის სხვა სამინისტროები; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები; დონორი ორგანიზაციები.

საბჭოს სახელმძღვანელოს მიხედვით აკადემიური, საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტების წევრის წარდგენისას საბჭოს ხელმძღვანელობა უკავშირდება სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებს/ინსტიტუციებს და მოითხოვს წარადგინონ ერთ-ერთი კანდიდატი ამ „შემადგენლობისათვის". ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს ყველა წევრი ინიშნება ორი წლით და განახლებას ექვემდებარება კიდევ ერთი

დამატებითი ორ-წლიანი ვადით. კენჭისყრაში მონაწილე ყოველ წევრს ჰყავს ერთი დანიშნული ალტერნატიული პირი, რომელიც იდეალურ შემთხვევაში იმავე ორგანიზაციის წარმომადგენელია. იგი იმავე შემადგენლობიდან უნდა იყოს, საიდანაც კენჭისყრაში მონაწილე პირია წარმოდგენილი. მათი სახელები უნდა მიეწოდოს საბჭოს სამდივნოს საბჭოს წევრთა სიაში შესაყვანად.

მომხსენებელმა საბჭოს წარუდგინა წევრის პასუხისმგებლობები, კერძოდ: აკადემიური, საგანმანათლებლო/კვლევითი ინსტიტუტების წევრი უნდა დაესწროს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სხდომებს და პასუხისმგებლობით მიიღოს მონაწილეობა საბჭოს შეხვედრებში; როდესაც წევრი ვერ ახერხებს შეხვედრაზე დასწრებას, მან უნდა უზრუნველყოს ალტერნატიული პირის დასწრება შეხვედრაზე; წარმოადგინოს აკადემიური სექტორის წინადადებები აივ ინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის პრევენციისა და მართვის პროექტების განხორციელების საკითხზე, მათ შორის აკადემიური სექტორის ჩართულობაზე აღნიშნული პროექტების განხორციელებაში; პერიოდულად მოახდინოს საბჭოს მუშაობის ანგარიშგება წევრის წარმომადგენლობის წინაშე (აკადემიური საბჭო) და გადასცეს (CCM) აკადემიური საბჭოს რეკომენდაციები; საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით მოახდინოს წარმომადგენლობის ინფორმირება სხვა კომუნიკაციის საშუალებებით (თსსუ-ის ვებ.გვერდი, გაზეთი, ტელე-რადიო გადაცემები).

მომხსენებელმა აკადემიურ საბჭოს შეახსენა, რომ 2015 წლის 18 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია ნომინირებულ იქნა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს (CCM) წევრად.

მომხსენებელმა აკადემიურ საბჭოს შესთავაზა, რომ პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია მეორე ვადით ნომინირებულ იყოს ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს (CCM) წევრად, ხოლო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირად ვიცე-რექტორის, პროფესორ რიმა ბერიაშვილის კანდიდატურა (მოხსენება ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი ჭიჭინაძემ დასვა შეკითხვა აკადემიური წარმომადგენელობის წევრის კონკრეტულად შესატანი წვლილის თაობაზე საბჭოს მისიისა და ძირითადი მოვალეობების შესრულებისას, რაზეც მიმხსენებელმა ამომწურავად უპასუხა.

პროფესორებმა მანანა ივერიელმა, ალიოშა ბაკურიძემ და საბჭოზე მოწვეულმა პირებმა აღნიშნეს, რომ მიესალმებიან პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას კანდიდატურის მეორე ვადით წარდგენას ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს (CCM) წევრად, რადგან მან საბჭოს დაარსების დღიდან დიდი წვლილი შეიტანა საბჭოს განვითარებაში და გასული ორი წლის განმავლობაში წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

საბჭოზე არ დასახელებულა ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს წევრობის და მისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის სხვა კანდიდატურები.

საბჭოს წევრებმა, ღია კენჭისყრით, ერთხმად მოიწონეს და დაამტკიცეს საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს (CCM) წევრად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას კანდიდატურა, ხოლო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირად ვიცე-რექტორის, პროფესორ რიმა ბერიაშვილის კანდიდატურა.

რექტორის აპარატის უფროსი ირინა კაპანაძე